პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 176 (9837)
11 სექტემბერი, ხუთშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

## ბესიკ გოცირიძე — სსრ კავშირის თასის მფლობელი

**ქართველმა მორბენალმა ბესიკ გოცირიძემ დონეცკში, მძლეოსანთა საკავშირო თასის გათამაშების ფინალურ ასპარეზობაში, 200 მეტრი 21,06 წამში გაირბინა და პირველი ადგილი დაიკავა.**



ბესიკ გოცირიძე თბილისელია. დაიბადა 1961 წელს. არმიის სპორტული კლუბის წევრია. ვარჯიშობს ევგენი გაგუას ხელმძღვანელობით. ამ შეჯიბრებაში, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა დონეცკის „ლოკომოტივის" სტადიონზე, იასპარეზა 400-ზე მეტმა მძლეოსანმა, მათ შორის 54 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა და 168 სპორტის ოსტატმა.

## უმაღლესი ლიგა

**გუშინ** თბილისში შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრა, ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს ალმაათის „ქაირათი".

თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ბიგვავამ და ფანცულაიამ.

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები გიორგი ჩოჩიშვილი და ჯემალ კასრაძე მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

# ფინიშს უახლოვდებიან

**ძალოსანთა** სასპარტაკიადო შეჯიბრება იზმაილოვოს სპორტის სასახლეში ტარდება. პირველი წონითი კატეგორია (52 კგ) საქართველოს წარმომადგენლებმა „გამოტოვეს". 56 კგ წონით კატეგორიაში ფიცარნაგზე გამოვიდა ზურაბ ჯაფარიძე. მან 102,5 კგ აიტაცა, 122,5 კგ აჰკრა, ორჭიდის ჯამში 225 კგ დააგროვა და IX ადგილი დაიკავა. ზურაბმა საქართველოს გუნდს 8 ქულა შესძინა. მეორე დღეს ჩვენმა ათლეტებმა კვლავ გამოტოვეს ერთი წონითი კატეგორია — 67,5 კგ. 60 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს გუნდის ღირსებას იცავდა 20 წლის შაუმ სარქისიანი. მწვრთნელების ვარაუდით, მას VI-VII ადგილი უნდა დაეკავებინა, მაგრამ სპორტსმენმა საწყისი წონა — 112 კგ — დიდი გაჭირვებით, მხოლოდ მესამე ცდაზე დასძლია, ორჭიდში 255 კგ დააგროვა და მე-11 ადგილზე დარჩა (6 ჩასათვლელი ქულა).

შემდეგ ასპარეზობაში ჩაებნენ 75 კგ წონის ათლეტები. ამ წონაში ყველაზე მეტმა ძალოსანმა მოიყარა თავი, რის გამოც შეჯიბრება სიძლიერის მიხედვით ორ ეტაპად დაყვეს. ჩვენი რესპუბლიკიდან ამჯერად ორი სპორტსმენი გამოდიოდა — გუნდის ლიდერი ხანარ ნაბიევი და შაგილ სულეიმანოვი. ხანარმა, რომელსაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ამირან ჩიტაძე წვრთნის, როგორც მოსალოდნელი იყო, კარგად იასპარეზა, ორჭიდის ჯამში 332,5 კგ მოაგროვა (150 + 182,5), დაგეგმილი V ადგილი დაიკავა და გუნდს ყველაზე მეტი — 17 ქულა შესძინა. ასევე კარგად გაართვა თავი დასახულ ამოცანას შაგილ სულეიმანოვმა (მწვრთნელები — ვახტანგ ლობჟანიძე და შოთა წერეთელი). მან ორჭიდში 322,5 კგ დააგროვა (150 + 172,5) და VIII ადგილზე გავიდა (9 ქულა).

სამი დღის შედეგების მიხედვით საქართველოს გუნდმა 40 ქულა მოაგროვა (შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ძალოსნებმა გეგმა-პროგნოზით 48 ქულა უნდა მოაგროვონ).

**გუშინ იზმაილოვოს სპორტის სასახლის ძალოსნურ დარბაზში 82,5 კგ წონითი კატეგორიის სპორტსმენები ასპარეზობდნენ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან ძალას ცდიდა ცხინვალელი ვადიმ კაზიევი. სამწუხაროდ, ვადიმმა ატაცში საწყისი წონის (140 კგ) დაძლევისას წელი იტკინა და ამის გამო ვერც მეორე ცდა გამოიყენა.**

**2 1 3** — კვარცხლბეკი

**82,5 კგ. კაზარიანი (სომხეთი) — 375 კგ, ხლობოდიუანიუკი (უკრაინა) — 372,5, ფისინცოვი (უზბეკეთი) — 372,5.**

●●●

**სიურპრიზი შემოგვთავაზა 17 წლის თბილისელმა მოფარიკავემ ქეთევან გაჩეჩილაძემ.**

მართალი გითხრათ, ქალთა გუნდის პერსპექტივა თავიდან არასახარბიელო ჩანდა. ჯერ კიდევ მოსამზადებელ პერიოდში გუნდი სამმა წამყვანმა სპორტსმენმა დატოვა. ამის გამო მწვრთნელებმა ხუთი სპორტსმენის შეკრებაც ველარ შეძლეს. ამ ოთხეულიდანაც ჩასათვლელ ქულებს მხოლოდ გუნდურ შეჯიბრებაში თუ ელოდნენ.

მაგრამ დაიწყო პირადი პირველობა და პროგნოზი გაბათილდა. პირველი ტური წარმატებით გაიარა საქართველოს სამმა სპორტსმენმა — ვენერა და ხათუნა მამუკაშვილებმა და ქეთევან გაჩეჩილაძემ. მხოლოდ მანანა დარასელია გამოეთიშა ბრძოლას. ვენერა მამუკაშვილს სულ ცოტა დააკლდა, რომ მეორე საფეხურიც დაეძლია. სამაგიეროდ გაჩეჩილაძემ თითქმის უიმედო სიტუაციაში გადალახა ეს ზღუდე. ტური მან ორი წაგებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო და ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვა. წარმატებით ფრთაშესხმულმა გოგონამ მესამე ტურიც მოიტოვა უკან. ფინალის მიჯნაზე კი, პირდაპირი გამოთიშვის ტურში, სიურპრიზი კინაღამ სენსაციაში გადაიზარდა. ქეთევანმა პირველ შეხვედრაში გაიმარჯვა და ერთი ნაბიჯილა აშორებდა ფინალს, მაგრამ ჯერ მსოფლიო ჩემპიონ სადოვსკაიას შეხვდა, შემდეგ ძლიერ უკრაინელ მოფარიკავეს ჩერნიანსკაიას და დამარცხდა. საბოლოოდ ტურნირის ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ მე-11 ადგილი დაიკავა (6 ქულა).

იხ. მე-2 გვ.

## სოფიასა და ლენინგრადში



მაია ჩიბურდანიძისა და ელენა ახმილოვსკაიას მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის



# მეოთხე პარტია

**ამ** პარტიაშიც გრიუნფელდის დაცვა გათამაშდა. პირველი რამდენიმე სვლა მატჩის მეორე პარტიას დაემთხვა. მე-9 სვლაზე მაია ჩიბურდანიძემ პაიკი შესწირა, რათა ლაზიერის ფრთაზე გაეხსნა ხაზები საიერიშოდ. იმან, რაც შავების მე-10 სვლის შემდეგ მოხდა, ყველა განაცვიფრა პრესცენტრში. ექსპერტებმა ვერა და ვერ მოიგონეს მსგავსი სვლა ჭადრაკის ისტორიაში და იგი მსოფლიო ჩემპიონის „შტაბის" მუშაობის ნაყოფად მიიჩნიეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდისთვის ჩიბურდანიძე სწრაფად თამაშობდა, ხოლო ახმილოვსკაია სულ უფრო დიდხანს უფიქრდებოდა თითოეულ სვლას, რის გამოც საბოლოოდ იგი ცაიტნოტში აღმოჩნდა. მანამდე კი.... მანამდე პრეტენდენტის პოზიცია უფრო პერსპექტიული ჩანდა და, სპეციალისტების აზრით, რომ არა ცაიტნოტი, პარტია ასე მშვიდად შესაძლოა არც დამთავრებულიყო. მართლაც, მეტოქენი მაშინ დაზავდნენ, როცა დაფაზე ბევრი რამ გაურკვეველი იყო.

**ახმილოვსკაია — ჩიბურდანიძე**

**გრიუნფელდის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მf3 კg7 4. g3 0—0 5. კg2 d5 6. cd მ:d5 7. 0—0 მb6 8. მc3 მc6 9. e3 e5 10. d5 e4 11. dc ლ:d1 12. ე:d1 ef 13. კ:f3 bc 14. კ:c6 ეb8 15. მd5 მc4 16. მe7+ მფh8 17. მ:c8 ეf:c8 18. კa4 მ:b2 19. კ:b2 კ:b2 20. ეab1 კe5 21. კb3 f5 22. ეd5 კd6 23. ეc1 ეb6 24. ეc4 a6 25. h3 ეa8 26. g4 fg 27. hg a5 28. g5 ეb4 29. მფg2 ე:c4 30. კ:c4 a4 31. f4 a3 32. მფf3 ეf8 33. ეd2 მფg7 34. ეh2 ეf5 35. მფg4 ეc5 36. ეc2. ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 2,5:1,5 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. შემდეგი, V პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს.



გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის



# მეთოთხმეტე პარტია

**ეს** შეხვედრა, რომელიც მეტად დაძაბული გამოდგა, თავიდან ბოლომდე მსოფლიო ჩემპიონის იერიშებში მიმდინარეობდა. მეტოქეებმა პირველად მიმართეს ესპანურ პარტიას. ანატოლი კარპოვმა აირჩია თავისი სეკუნდანტის ი. ზაიცევის მიერ დამუშავებული დაცვითი სისტემა, რომელიც დღეისთვის საკმაოდ პოპულარულია. მაგრამ მე-18 სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა გადაუხვია მეტოქისთვის სასურველ გზას და ბრძოლა კიდევ უფრო გაამწვავა. თანდათან გამოიკვეთა გარი კასპაროვის საგრძნობი უპირატესობა და 41-ე სვლის წინ, როცა პარტია გადაიდო, მისი შედეგი ეჭვს უკვე აღარ იწვევდა — მსოფლიო ჩემპიონს აშკარად მოსაგები პოზიცია ჰქონდა და ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ მეორე დღეს პარტია აღარ გაგრძელდებოდა.

**გ. კასპაროვი — ა. კარპოვი**

**ესპანური პარტია**

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0—0 9. h3 კb7 10. d4 ეe8 11. მbd2 კf8 12. a4 h6 13. კc2 ed 14. cd მb4 15. კb1 c5 16. d5 მd7 17. ეa3 c4 18. ab ab 19. მd4 ე:a3 20. ba მd3 21. კ:d3 cd 22. კb2 ლa5 23. მf5 მe5 24. კ:e5 de 25. მb3 ლb6 26. ლ:d3 ეa8 27. ეc1 g6 28. მe3 კ:a3 29. ეa1 ეa4 30. მg4 კf8 31. ეc1 ლd6 32. მc5 ეc4 33. ე:c4 bc 34. მ:b7 cd 35. მ:d6 კ:d6 36. მფf1 მფg7 37. f3 f5 38. მf2 d2 39. მფe2 კb4 40. მd3 კe3.

ასეც მოხდა, თამაშის განუახლებლად კარპოვმა თავი დამარცხებულად ცნო.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 8:6 გარი კასპაროვის სასარგებლოდ.

**გუშინ** ლენინგრადში უნდა გამართულიყო გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანშის მე-15 პარტია. შეხვედრა გადატანილია 12 სექტემბრისთვის — მეორე ტაიმ-აუტი აიღო კასპაროვმა.

## პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

**რიგაში** გაიმართა არტურ იუსუპოვისა და ანდრეი სოკოლოვის მატჩის მეოთხე პარტია. მეტოქეებმა ახალინდური დაცვა გაითამაშეს, უპირატესობა ვერც ერთმა მხარემ ვერ მიიღო და შეხვედრა დამთავრდა ყაიმით. ამრიგად; მატჩის ანგარიშია 3:1 იუსუპოვის სასარგებლოდ.

VIII

თვის მონაგარი

# ესტაფეტა სასპარტაკიადო სექტემბერმა მიიღო

**სპორტული აგვისტო საქართველოს წარმომადგენელთა რამდენიმე საგულისხმო გამარჯვებით დაგვამახსოვრდა. ამ გამარჯვებათა ერთი ნაწილი საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზეა მოპოვებული, დანარჩენი — საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე.**

**IX სპარტაკიადა.** აგვისტოში სპარტაკიადის მედლებისთვის ბრძოლა დაამთავრეს სპორტის კიდევ ხუთი სახეობის წარმომადგენლებმა. საქართველოს სპორტული დელეგაციის „ყულაბას" მეცხრე ოქროს მედალი შემატა თბილისელმა ბატუტზე მხტომელმა რუსუდან ხოფერიამ. უნდა ითქვას, რომ ეს იყო მოულოდნელი, ამდენად, ორმაგად სასიხარულო გამარჯვება. მართლაც, ვინ იფიქრებდა, რომ 18 წლის სპორტსმენი ასე თამამად ჩაებმებოდა გამოცდილ, ტიტულიან მეტოქეებთან ბრძოლაში და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აღმოჩნდებოდა. სხვათა შორის, თვით საქართველოს ნაკრების მწვრთნელებიც არ გეგმავდნენ ხოფერიას „ოქროს", რადგან იცოდნენ, რომ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორებთან მოუწევდა პაექრობა. მაგრამ ქართველმა გოგონამ, რომ იტყვიან, შეუძლებელი შეძლო — სტაბილურად, დიდი ოსტატობით შეასრულა ყველა ვარჯიში და სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდა.




**ბატუტზე** მხტომელებმა, როგორც ცნობილია, კიევში იასპარეზეს, უფრო ადრე მოსკოვის კორტებზე მოეწყო ჩოგბურთელთა სასპარტაკიადო ტურნირი. 254,5 ქულა და გუნდური III ადგილი — ასეთი შედეგით აღინიშნა საქართველოს ჩოგბურთელთა გამოსვლა. წინა სპარტაკიადასთან შედარებით ჩვენმა სპორტსმენებმა ერთბაშად სამი საფეხურით წაიწიეს წინ და უძ-

იხ. მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წინ სამი შეხვედრაა

**მოსკოვში,** „დინამოს“ სტადიონზე, დამთავრდა ვაჟთა გუნდების ფინალური ტურნირის ნახევარი ბალახის ჰოკეიში, მაგრამ... „ჩვენი შეჯიბრება ახლა იწყება“ — განაცხადეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა. საქმე ის არის, რომ ჩვენს სპორტსმენებს ფინალის პირველი სამი მატჩი გაცილებით ძლიერ მეტოქეებთან — უზბეკეთის, უკრაინისა და ყაზახეთის წარმომადგენლებთან ჰქონდათ. საქართველოს ნაკრები ბევრს ეცადა, მაგრამ, რომ იტყვიან, თავს ზევით ძალა არ იყო — სამივე შეხვედრაში დიდი ანგარიშით დამარცხდა. ფინალის უკანასკნელ სამ მატჩში ჩვენი გუნდის მეტოქეები ბელორუსიის, ტაჯიკეთისა და მოსკოვის სპორტსმენები იქნებიან. მათთან შეხვედრებში, ჩვენი მწვრთნელების აზრით, წარმატების იმედი შეიძლება გვქონდეს.

## შტაბის მისამართი: მოსკოვი, სასტუმრო „ოსტანკინო“

**ბოლშაია გრუზინსკაია.** სახლი-მემორიალი. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები სულგანაბული უსმენენ მოსკოველ ექსკურსიამძღოლს. ამ სახლში ჩვენი წინაპრების სული ტრიალებს. ექსკურსიამ გააფართოვა ჩვენი სპორტსმენების თვალსაწიერი. შემდეგ ისინი ეწვივნენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საიუბილეო მონუმენტს და შოთა რუსთაველის ძეგლს. აქ ყველა მათგანმა თბილისიდან გამოგზავნილი ყვავილები დაწყო. შემდეგ ჩვენი დელეგაციის წევრები საქართველოს მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობაში მიიწვიეს. სპორტსმენებს მიესალმა წარმომადგენლობის განყოფილების გამგე რუსუდან ანდრონიკაშვილი.

ასეთი ექსკურსიები სასპარტაკიადო პროგრამის შემადგენელი ნაწილია. ამ საქმის თაოსნები არიან რესპუბლიკის სპორტსახკომი და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.





შეჯიბრებისაგან თავისუფალ დროს საქართველოს ბალახის ჰოკეისტები ბოლშაია გრუზინსკაიაზე საქართველოს ახალშენის სახლ-მემორიალს ესტუმრნენ.

სასტუმრო „ოსტანკინოს“ მეორე ბლოკში, სადაც ჩვენი სპორტსმენების დელეგაციაა დაბინავებული, შეიქმნა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შტაბი. მასში შედიან მხატვარი ხანდრო ახვლედიანი, პოეტი ლაშა ნადარეიშვილი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი გიორგი მაკასარაშვილი და რესპუბლიკის სპორტსახკომის პროპაგანდის განყოფილების უფროსი ვაჟა ნინუა. მათი მუშაობა მხოლოდ ექსკურსიებით როდი შემოიფარგლება. აქ მოაწყვეს ლამაზად გაფორმებული სტენდები. ერთ-ერთი მათგანი ჩვენი სახელოვანი კომკავშირის ისტორიას გვაცნობს. მეორე სტენდიდან საქართველოს გამოჩენილი სპორტსმენები შემოგვყურებენ. არც იუმორის კუთხე დავიწყებიათ.

შტაბში ტრადიციად იქცა ჩვენი პრიზიორი სპორტსმენების საზეიმო დაჯილდოება. პირველი ასეთი საზეიმო დაჯილდოება მოუწყვეს საქართველოს „ვერცხლის ხმლის“ გუნდს. თვის ბოლომდე აქ ბევრი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი.



შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში. ქართველი სპორტსმენები ამ წმინდა ადგილს ცოცხალი ყვავილებით ამკობენ.



საქართველოს სპორტსმენთა დელეგაცია გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ მონუმენტთან.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

## განაწყენების საფუძველი არა გვაქვს

**გუნდის პორტრეტს „ხატავს“ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი მორის სახვაძე.**

**ხმლით** მოფარიკავეთა გუნდური ტურნირის ფინალში საქართველოს წარმომადგენლები, რომლებსაც, ისევე როგორც ახალ ჩემპიონს — ლენინგრადის ნაკრებს, 8 შეხვედრა ჰქონდათ მოგებული, დარტყმათა შეფარდების გამო მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ. ისინი ერთადერთი დარტყმით ჩამორჩნენ მეტოქეს! საწყენია, რაღა თქმა უნდა. მაგრამ სასპარტაკიადო ვერცხლის მედლებიც დიდი მიღწევაა, მით უფრო, თუ ეს ჯილდოები პირველად მოიპოვე ამგვარი ტურნირების ისტორიაში. აქამდე ჩემი თანამემამულენი მხოლოდ ერთხელ გახდნენ ბრინჯაოს პრიზიორები. ეს იყო 23 წლის წინათ, III სპარტაკიადაზე, მაგრამ იმ მედალს დღემდე ვინახავ, როგორც ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას ჯილდოს.

დიახ, ხმლით ფარიკაობას საქართველოში დიდი ხნის ტრადიციები აქვს. ხმალი, თუ გნებავთ, იარაღის ის სახეობაა, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება ჩვენს — სამხრეთულ ტემპერამენტს. მაგრამ ხშირად სწორედ ჭარბი ემოციები უშლიდა ხელს ჩვენს ბიჭებს კვარცხლბეკზე ასვლაში.

სწორედ ფსიქოლოგიურ სიმტკიცეზე მოგვიხდა მუშაობა სპარტაკიადის წინ. უნდა ითქვას, რომ ბიჭებმა მთელი ტურნირი ჩავარდნის გარეშე ჩაატარეს, ყოველ ორთაბრძოლაში მთელ შესაძლებლობებს ავლენდნენ და ემოციებს ფუჭად არ ფლანგავდნენ. თუმცა, წარმოიდგენია, რა ფასად უჯდებოდა თითოეულ მათგანს თავის ხელში აყვანა, განსაკუთრებით დრამატიზმით აღსავსე ფინალურ ორთაბრძოლაში, როცა საქართველოს გუნდი თავდაპირველად წმინდად აგებდა, მერე კი დაწინაურდა ანგარიშში, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

ბიჭებმა ძალიან იყოჩაღეს, უკლებლივ ყველამ. მაგალითად, განა შეიძლება რაიმე პრეტენზია წაუყენო ირაკლი გვარამაძეს, რომელიც სამატჩო შეხვედრის გადამწყვეტ მომენტში ვლადიმერ კუშნირენკოსთან ორთაბრძოლას იგებდა ანგარიშით 4:1 და წააგო? არა, რა თქმა უნდა. და ეს არა იმიტომ, რომ წინა შეხვედრებში — მოსკოვისა და უკრაინის გუნდებთან ბრძოლებში მან სამიდან სამი გამარჯვება ჩაწერა გუნდის აქტივში. მთელი ტურნირისთვის სპორტსმენს, უბრალოდ, ძალა არ ეყო. მას ხომ ავადმყოფობის შემდეგ თითქმის ნახევარ წელიწადს არ უვარჯიშია, მაგრამ შეძლო მწყობრში ჩადგომა.

ჩვენს ნაკრებში ყველაზე გამოცდილმა მერაბ ბაზაძემ ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი ასპარეზობა. იგი გამოდიოდა პირადი შეჯიბრების ფინალშიც, სადაც მხოლოდ მომავალ ჩემპიონთან გენადი კირიენკოსთან წააგო. მერაბი ნამდვილი ჯენტლმენია საფარიკაო ბილიკზე. დარტყმას რომ მიიღებს, მაშინვე ხელს აღმართავს, თავად აღიარებს ამას. ყველა მებრძოლს როდი შესწევს ამის უნარი. მერაბის ჩამოყალიბებას ძალიან შეუწყო ხელი მოსკოველმა მწვრთნელმა ვალერი მარინჩევმა. სწორედ მან აქცია ბაზაძე ჭეშმარიტ ოსტატად, რომელიც მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაშიც კი მონაწილეობდა.

კეთილი სიტყვით უნდა მოვიხსენიო მოსკოველები. სპარტაკიადისთვის ჩვენ ერთად ვემზადებოდით, სპარინგ-ბრძოლებს ვატარებდით. დედაქალაქში მომუშავე მწვრთნელები (საქართველოს ნაკრების კიდევ ერთ წევრს — ზაზა მჭედლიძეს — მოსკოველი ლევ აბრომჩიკოვი წვრთნის) თავიანთ „საიდუმლოებებს“ არ გვიმალავდნენ. მოსკოვის გუნდის ხელმძღვანელებმა, პირველ ყოვლისა, უფროსმა მწვრთნელმა ტატიანა ბახვალოვამ, იდეალური პირობები შეგვიქმნეს წვრთნისთვის. აი, ასე უნდა იყოს ყოველთვის! მეტოქეები საფარიკაო ბილიკზე — მეგობრები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მე ყველაზე მეტად დავით თურქიას გამო ვღელავდი. ადრე იგი ნერვებს ვერ იმორჩილებდა ხოლმე, აქ კი თითქოს ერთბაშად შეიცვალა — ბოლოს და ბოლოს გაიგო, რომ ნებისმიერმა გაუფრთხილებელმა ნაბიჯმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მთელი გუნდის გამოსვლაზე.

თადარიგში გვყავდა ყველაზე ახალგაზრდა მოფარიკავე — აკაკი მახარაძე, რომელიც მზად იყო, ნებისმიერ წუთს შეეცვალა ამხანაგი. სხვათა შორის, მას შეჯიბრებისთვის მამა ამზადებდა. ბიჭების უმეტესობას კი ამეცადინებს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გურამ ლორთქიფანიძე, რომელსაც ახლა თამაზ ესართიაც ეხმარებოდა.

რა გვეთქმის. გამარჯვებამდე სულ რაღაც ნახევარი ნაბიჯი იყო დარჩენილი. არა, ამდენიც არა. ესე იგი, წარმატება ცხრა მთას იქით აღარ არის. ბიჭებმა ირწმუნეს ეს.

**ტექნიკური შედეგები:**

**სსრ კავშირის ხალხთა IX საზაფხულო სპარტაკიადა. ფარიკაობა. მოსკოვი. სპორტკომპლექსი „დრუჟბა“. 7 სექტემბერი.**

**ხმალი. გუნდური ტურნირი. I ადგილისთვის. ლენინგრადი (მ. კარელოვი, ა. ბოგატირიოვი, ა. პანტელეევი, ვ. კუშნირენკო, ვ. მერდინოვი) — საქართველოს სსრ — 8:8 (დარტყმების მიხედვით 64:63); III ადგილისთვის. უკრაინის სსრ — რსფსრ — 9:7; V ადგილისთვის. მოსკოვი — ბელორუსიის სსრ — 9:5. VII ადგილისთვის. აზერბაიჯანის სსრ — უზბეკეთის სსრ — 9:5.**

**„სოვეტსკი სპორტი“, 10 სექტემბერი, 1986 წ.**

## გიხმობთ საშემოდგომო სტარტები!

**7 სექტემბერს დაიწყო და 8 ოქტომბერს დამთავრდება საშემოდგომო გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის საკავშირო ერთთვიური. ამ მასობრივი ღონისძიების ფინალური აკორდი იქნება ესტაფეტები გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. შეჯიბრებები გაიმართება 8 ოქტომბერს.**

ყოველი შაბათი და კვირა მასობრივი სტარტების დღეებია, როგორ ემზადებით ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, რა კეთდება ერთთვიურის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად, როგორ ჩაიარა შაბათ-კვირის სტარტებმა?

მოგვწერეთ, გამოგვიგზავნეთ ფოტოსურათები, გაგვაცანით ორგანიზაციები და ენთუზიასტები, გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის მოყვარულთა ცალკეული ჯგუფები. გვაცნობეთ რა გიშლით ხელს, რა უნდა გაკეთდეს, რომ ყველგან ჩამოყალიბდეს გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის მოყვარულთა კლუბები და ცალკეული ჯგუფები, სისტემატურად ჩატარდეს მეცადინეობები. მოგვწერეთ, ველით თქვენს წერილებს, დაგვირეკეთ ტელეფონით: 93-97-53, 93-97-54, 99-56-14.



**თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი 14 სექტემბერს აწყობს მორბენლის საკავშირო ერთთვიურისადმი მიძღვნილ მძლეოსნურ გარბენს მარშრუტით: ლენინის მოედანი — რუსთაველის გამზირი — ლენინის ქუჩა — მელიქიშვილის ქუჩა — ი. ჭავჭავაძის გამზირი — „გამარჯვების“ პარკი.**

**დასაწყისი — 11 საათზე.**

შეჯიბრებაში 1-დან 50-ე ადგილზე გასულ მორბენლებს გადაეცემათ თბილისის სპორტკომიტეტის საჩუქრები (ვეტერანი სპორტსმენებისათვის გამოყოფილია ცალკე პრიზები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

49

განვლილ კვირას გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის 23-ე ტურის შეხვედრები, გთავაზობთ ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

„ზენიტი“ — „სპარტაკი“ 0:1 (0:0). გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა სპარტაკელებს, 56-ე წუთზე გაიტანა როდიონოვმა.

გააფრთხილეს „ზენიტის“ ფეხბურთელი ჩუხლოვი.

დუბლიორები — 1:1.

„მეტალისტი“ — „დინამო“ (კიევი) 1:0 (0:0). კიევის დინამოელებმა, რომლებმაც სულ ახლახან მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირები მოიგეს ამსტერდამში და მადრიდში, საკავშირო ჩემპიონატში ზედიზედ მეორე მარცხი განიცადეს და ბოლო 3 ტურში 6 შესაძლებლიდან სულ 1 ქულა აიღეს. კიეველთა კარში ბურთი გაიტანა აჯოევმა.

დუბლიორები — 2:0.

„ჟალგირისი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1 (0:0). გოლები: პანკრატიევი („ჟალგირისი“), სტუკაშოვი („დინამო“).

დუბლიორები — 1:0.

„ნეფთჩი“ — „დინამო“ (მინსკი) 1:1 (0:0). გოლები: სოკოლი („დინამო“), ჯავადოვი („ნეფთჩი“).

გააფრთხილეს მინსკელი დოზმოროვი.

დუბლიორები — 3:3.

„შახტიორი“ — „დნეპრი“ — 1:1 (0:1). მე-2 წუთზე დაწინაურდნენ სტუმრები (პროტასოვი), მასპინძლებმა კი მხოლოდ მატჩის დასასრულს გაიტანეს საპასუხო ბურთი (სმოლიანინოვი).

დუბლიორები — 1:3.

„არარატი“ — „ჩერნომორეცი“ — 1:1 (0:0). გოლები: ბაგაპოვი („ჩერნომორეცი“), ქოჩარიანი („არარატი“). ერევნელმა რაფ. გალუსტიანმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი. ბურთი აილო „ჩერნომორეცის“ მეკარემ გრიშკომ.

გააფრთხილეს ოდესელი ფეხბურთელები იურჩენკო და გრიშკო.

დუბლიორები — 1:2.

⊙ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიაში კვლავინდებურად წინაა მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელი ს. როდიონოვი — 13 გოლი. ბაქოელმა მ. აჰმედოვმა და დნეპროპეტროვსკელმა ო. პროტასოვმა გაიტანეს 10-10 ბურთი.

⊙ ბაქოს „ნეფთჩი“ მეორე გუნდია უმაღლეს ლიგაში, რომელმაც ფრეთა ლიმიტი ამოწურა და ამის გამო დაკარგა ქულა.

⊙ 11 სექტემბერს, 24-ე ტურში, თბილისის დინამოელები შინ მიიღებენ ალმა-ათის „ქაირათს“, ხოლო ქუთაისის „ტორპედო“ — მოსკოვის თანაკლუბელთა გუნდს. ამის შემდეგ უმაღლეს ლიგაში გაიმართება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის 2 ტურის მატჩები, 4-5 ოქტომბერს კი განახლდება საკავშირო ჩემპიონატი.

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 23 | 17 | 3 | 3 | 59-25 | 37 |
| „სპარტაკი“ | 23 | 15 | 5 | 3 | 59-23 | 35 |
| „შახტიორი“ | 23 | 11 | 7 | 5 | 36-26 | 29 |
| „ჩერნომორ.“ | 23 | 10 | 6 | 7 | 36-31 | 26 |
| „დინ.“ თბ. | 23 | 10 | 5 | 8 | 39-32 | 25 |
| „ზენიტი“ | 22 | 9 | 7 | 6 | 37-29 | 25 |
| „მეტალის.“ | 22 | 7 | 9 | 6 | 24-21 | 23 |
| „დინ.“ მნ. | 22 | 6 | 11 | 5 | 26-25 | 23 |
| „დინამო“ მ. | 21 | 8 | 5 | 8 | 28-23 | 21 |
| „არარატი“ | 23 | 8 | 5 | 10 | 26-27 | 21 |
| „ჟალგირისი“ | 23 | 8 | 5 | 10 | 26-28 | 21 |
| „დინამო“ კ. | 18 | 6 | 6 | 6 | 25-25 | 18 |
| „ქაირათი“ | 23 | 5 | 5 | 13 | 18-46 | 15 |
| „ტორპ. მ. | 24 | 5 | 7 | 12 | 21-38 | 17 |
| „ტორპ.“ ქ. | 23 | 4 | 4 | 15 | 18-46 | 12 |
| „ნეფთჩი“ | 23 | 3 | 6 | 14 | 19-52 | 12 |

## I ლიგა

სულ უფრო მწვავდება ბრძოლა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში, უშეღავათო კონკურენციაა გაჩაღებული ლიდერთა ჯგუფშიც, სადაც პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა გუნდებმა გაისად უმაღლეს ლიგაში უნდა გადაინაცვლონ, აგრეთვე, მათ შორისაც, ვინც ლიგაში დასარჩენად იბრძვის.

ახალი წარმატებით გაახარა თავისი ქომაგები ლანჩხუთის „გურიამ“, რომელმაც 9 სექტემბერს შინ მიიღო სტავროპოლის „დინამო“. ამ მატჩის თაობაზე ჩვენმა ლანჩხუთელმა კორესპონდენტმა ავთანდილ ორმოცაძემ ტელეფონით გადმოგვცა:

ისევე, როგორც წინა მატჩში, ლანჩხუთელებმა სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში, დროდადრო მთელი გუნდი მეტოქის ნახევარზე გადადიოდა. და სწორედ ერთ-ერთ ასეთ მომენტში სტავროპოლელებმა სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს, ოსიპოვმა ბურთი გრომოვს გადასცა და ამ უკანასკნელმა გახსნა კიდეც ანგარიში —1:0.

მასპინძლებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თამაში შესვენების შემდეგ, მიმდინარეობდა 50-ე წუთი, როცა ფრიდონიშვილმა კოპალეიშვილის გადაცემის შემდეგ მოატყუა მცველები, მეკარის პირისპირ გავიდა და ანგარიში გაათანაბრა, 73-ე წუთზე კი ლანჩხუთელებმა მეორედ აიღეს სტუმრების კარი (გოლი კოპალეიშვილის გადაცემით გაიტანა ე. თევზაძემ) და მატჩი საბოლოოდ ლანჩხუთელი ფეხბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 2:1. დარჩენილ დროში ბურთის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ ფრიდონიშვილს, აკოფიანს და სხვებს.

მეტოქეთა შემადგენლობანი: „გურია“ — იმნაძე, კონდრატიევი, დანელია, გილიგაშვილი, მელიქია (მ. თევზაძე), ებანოიძე, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა (შვეცოვი), თოფურიძე (ე. თევზაძე), ფრიდონიშვილი, აკოფიანი; „დინამო“ — პატა, სიდორენკო, შესტაკოვი, ნიკიტინი, მურავიოვი (ლეპსკი), ზაზდრავნიხი, ზახარიკოვი, პუდიშევი, ოსიპოვი (ცაზაკოვი), გრომოვი, გრუნიჩევი. მსაჯი — ა. ხორლინი (მოსკოვი). გააფრთხილეს მელიქია და ნიკიტინი.

ამავე დღეს ბათუმის დინამოელები კრასნოდარში შეხვდნენ ადგილობრივ „ყუბანს“. ბათუმელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

ლანჩხუთელთა ერთ-ერთმა მთავარმა მეტოქემ უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვებისთვის ბრძოლაში — ცსკა-მ მოსკოვში მარცხი განიცადა ვოლგოგრადის „როტორთან“ შეხვედრაში — 1:2.

9 სექტემბრის სხვა მატჩების შედეგები: ასკ (დონის როსტოვი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 5:0, „ატლანტასი“ (კლაიპედა) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:1, „დაუგავა“ (რიგა) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 2:1, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — ასკ (ხაბაროვსკი) 0:0, „პამირი“ (დუშანბე) — „კუზბასი“ (კემეროვო) 4:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, „სპარტაკი“ ორჯონიკიძე) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 2:1.

შემდგომ, 35-ე ტურში 16 სექტემბერს ლანჩხუთის „გურია“ ვოლგოგრადში შეხვდება „როტორს“, ხოლო ბათუმის დინამოელები შინ მიიღებენ ვორონეჟის „ფაკელს“.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა“ | 32 | 20 | 8 | 4 | 67-32 | 48 |
| „გურია“ | 33 | 19 | 5 | 9 | 49-41 | 43 |
| ასკ „კარ.“ | 33 | 15 | 10 | 8 | 50-34 | 40 |
| „პამირი“ | 32 | 15 | 9 | 8 | 51-29 | 39 |
| „შინიკი“ | 33 | 14 | 11 | 8 | 32-23 | 39 |
| „ლოკომოტ.“ | 32 | 14 | 9 | 9 | 44-33 | 37 |
| „როტორი“ | 32 | 16 | 4 | 12 | 48-39 | 36 |
| ცსკა | 30 | 15 | 5 | 10 | 42-31 | 35 |
| „დინამო“ ბ. | 33 | 14 | 6 | 13 | 35-44 | 34 |
| „ფახთაქ.“ | 32 | 13 | 8 | 11 | 40-44 | 34 |
| „ფაკელი“ | 32 | 13 | 7 | 12 | 35-32 | 33 |
| „როსტსელ“. | 32 | 11 | 10 | 11 | 52-49 | 32 |
| „კოლოსი“ | 31 | 11 | 10 | 10 | 31-33 | 32 |
| ასკ რ. | 32 | 12 | 7 | 13 | 41-34 | 31 |
| „სპარტაკი“ | 33 | 10 | 11 | 12 | 43-43 | 31 |
| „მეტალურ.“ | 32 | 12 | 6 | 14 | 41-37 | 30 |
| „ყუბანი“ | 32 | 9 | 11 | 12 | 28-34 | 29 |
| „დინ.“ სტ. | 32 | 8 | 12 | 12 | 41-40 | 28 |
| „კოტაიკი“ | 33 | 8 | 11 | 14 | 30-40 | 27 |
| „კუზბასი“ | 31 | 8 | 11 | 12 | 34-46 | 27 |
| „ისკრა“ | 33 | 8 | 9 | 16 | 23-44 | 25 |
| ასკ ხ. | 32 | 7 | 10 | 15 | 35-48 | 24 |
| „ატლანტ.“ | 32 | 5 | 10 | 17 | 26-49 | 20 |
| „ნისტრუ“ | 33 | 5 | 8 | 20 | 24-63 | 18 |

## საქართველოს პირველობა

7 სექტემბერს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო შეხვედრები I ლიგის გუნდებს შორის.

### აღმოსავლეთი ჯგუფი

„მადნეული“ (ბოლნისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:2. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი). გოლები: გორგილაძე, ჯაგოვი („მადნეული“), იორამაშვილი, ქობელაშვილი („არმაზი“).

„ივერია“ (ხაშური) — „იმედი“ (თბილისი) 5:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი). გოლები: ოსაძე-2, ხარაზიშვილი-3 („ივერია“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ხაშურელი ფეხბურთელი ი. ნოზაძე.

„დურუჯი“ (ყვარელი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:2. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი). გოლები: ტალახაძე, ნერსეზაშვილი („დურუჯი“), ხომელაშვილი-2 („სპარტაკი“).

მსაჯთან სისტემატური კამათისთვის გააფრთხილეს ცხინვალელი ი. ჯიოევი.

„კახეთი“ (თელავი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 5:3. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: ე. სეროფიანი, მაისურაძე, გავარდაშვილი, ბაქრაძე-2 („კახეთი“), ჭეჭელაშვილი-3 („ქართლი“).

„შევარდენი“-სპი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:1. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული). გოლები: ჯიშკარიანი, ჯოჯუა-2 („შევარდენი“-სპი), კიკნაძე („მეტალურგი“).

### დასავლეთი ჯგუფი

„იმერეთი“ (ქუთაისი) — „დინამო“ (გაგრა) 2:0. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე). გოლები: ჭყონია, კუხალეიშვილი („იმერეთი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ქუთაისელი დ. შავგულიძე, ხოლო მსაჯთან კამათისთვის — ვ. ტესლენკო და გ. ლოგუა (ორივე — „დინამო“).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 4:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: გოგოლაშვილი, შამათავა, გაბისონია-2 („ამირანი“), ლუდუშიძე („ბახმარო“).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „სქური“ (წალენჯიხა) 5:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: კიკალეიშვილი, გერგელი, ბაღუშვილი, ჩიქობავა-2, („ეგრისი“), გ. კვარაცხელია („სქური“).

„მერცხალი“ (მახარაძე) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 3:2. მსაჯი ზ. ხანიაშვილი (თბილისი). გოლები: ბოლოთაშვილი, ქლენტი-2 („მერცხალი“), ქობალია („სამეგრელო“).

„სულორი“ (ვანი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლები: ორმოცაძე-2 („სულორი“), ფანჩულიძე („საპოვნელა“).

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:0. მსაჯი ა. კიკაბიძე. (მახარაძე). გოლი: ფესტვენიძე („შადრევანი“).

### საბოლოო მდგომარეობა ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ

### აღმოსავლეთი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შევარ.“სპი | 24 | 18 | 3 | 3 | 59-24 | 39 |
| „მეტალურგი“ | 24 | 15 | 3 | 6 | 38-27 | 33 |
| „მადნეული“ | 24 | 13 | 3 | 8 | 52-34 | 29 |
| „არმაზი“ | 24 | 10 | 7 | 7 | 39-33 | 27 |
| „კახეთი“ | 24 | 11 | 3 | 10 | 33-37 | 25 |
| „ივერია“ | 24 | 11 | 3 | 10 | 28-27 | 25 |
| ფიზკ. ინსტ. | 24 | 10 | 5 | 9 | 32-29 | 25 |
| „იმედი“ | 24 | 8 | 8 | 8 | 17-30 | 24 |
| „ქართლი“ | 24 | 9 | 5 | 10 | 20-30 | 23 |
| „სპარტაკი“ | 24 | 9 | 3 | 12 | 27-37 | 21 |
| „დურუჯი“ | 24 | 8 | 5 | 11 | 19-32 | 21 |
| „სინათლე“ | 24 | 5 | 2 | 17 | 8-9 | 12 |
| ასკ თბ. | 24 | 3 | 2 | 19 | 10-32 | 8 |

### დასავლეთი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამეგრელო“ | 24 | 13 | 3 | 8 | 36-22 | 29 |
| „ეგრისი“ | 24 | 11 | 6 | 7 | 39-40 | 28 |
| „დინამო“ ზ. | 24 | 13 | 1 | 10 | 54-34 | 27 |
| „სულორი“ | 24 | 12 | 3 | 9 | 39-28 | 27 |
| „ამირანი“ | 24 | 12 | 3 | 9 | 33-33 | 27 |
| „შადრევანი“ | 24 | 13 | 0 | 11 | 43-42 | 26 |
| „სალხინო“ | 24 | 11 | 4 | 9 | 36-31 | 26 |
| „მერცხალი“ | 24 | 11 | 3 | 10 | 36-25 | 25 |
| „დინამო“ გ. | 24 | 10 | 5 | 9 | 42-36 | 25 |
| „საპოვნელა“ | 24 | 11 | 2 | 11 | 42-36 | 24 |
| „სქური“ | 24 | 10 | 3 | 11 | 35-46 | 23 |
| „იმერეთი“ | 24 | 5 | 4 | 15 | 18-36 | 14 |
| „ბახმარო“ | 24 | 5 | 1 | 18 | 17-54 | 11 |

მალე დაიწყება საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ეტაპის გათამაშება, მკითხველებს შევახსენებთ, რომ შეჯიბრების დებულების VI პუნქტის თანახმად აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჯგუფებში პირველ 6-6 ადგილზე გასული გუნდები (სულ 12) ქმნიან პირველ ფინალურ ჯგუფს, ხოლო მომდევნო ადგილებზე გასული გუნდები ქმნიან მეორე ფინალურ ჯგუფს. გუნდები, რომლებიც I ეტაპის ჯგუფებში ბოლო ადგილებს დაიკავებენ, პირდაპირ ტოვებენ პირველ ლიგას.

როგორც პირველ, ისე მეორე ფინალურ ჯგუფში გუნდები შედიან ქულათა იმ მარაგით, რომლებიც მათ დააგროვეს თავიანთი ზონიდან ამავე ფინალურ ჯგუფში მოხვედრილ გუნდებთან შეხვედრებში.

მეორე ეტაპის ორივე ფინალურ ჯგუფში შესული გუნდები გათამაშების მეორე ეტაპზე ხვდებიან მხოლოდ პარალელური ჯგუფიდან გასულ გუნდებს წრიული სისტემით, ორ წრედ.

პირველ ფინალურ ჯგუფში გამარჯვებულ გუნდს მიენიჭება ფეხბურთში საქართველოს 1986 წლის ჩემპიონის წოდება, ხოლო მეორე ფინალურ ჯგუფში ბოლო 3 ადგილზე (21-ე, 22-ე, 23-ე ადგილები) გასული გუნდები 1987 წელს გადაინაცვლებენ საქართველოს პირველობის II ლიგაში.

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე პირველ ფინალურ ჯგუფში გუნდები ქულათა შემდეგი მარაგით იწყებენ თამაშს:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შევარ.“-სპი | 10 | 6 | 2 | 2 | 23-14 | 14 |
| „მეტალურგი“ | 10 | 6 | 2 | 2 | 18-13 | 14 |
| „სამეგრელო“ | 10 | 5 | 3 | 2 | 14-7 | 13 |
| „სულორი“ | 10 | 5 | 1 | 4 | 19-14 | 11 |
| „დინამო“ ზ. | 10 | 5 | 0 | 5 | 24-16 | 10 |
| „შადრევანი“ | 10 | 5 | 0 | 5 | 17-16 | 10 |
| „ეგრისი“ | 10 | 4 | 2 | 4 | 8-17 | 10 |
| „კახეთი“ | 10 | 4 | 1 | 5 | 13-18 | 9 |
| „მადნეული“ | 10 | 3 | 3 | 4 | 24-22 | 9 |
| „არმაზი“ | 10 | 3 | 3 | 4 | 18-22 | 9 |
| „ამირანი“ | 10 | 2 | 2 | 6 | 9-21 | 6 |
| „ივერია“ | 10 | 2 | 1 | 7 | 7-16 | 5 |

### მეორე ფინალური ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი“ | 10 | 6 | 2 | 2 | 14-5 | 14 |
| „დინამო“ გ. | 10 | 5 | 2 | 3 | 17-11 | 12 |
| „სალხინო“ | 10 | 4 | 3 | 3 | 11-8 | 11 |
| „სპარტაკი“ | 8 | 4 | 2 | 2 | 10-8 | 10 |
| „საპოვნელა“ | 10 | 4 | 1 | 5 | 15-18 | 9 |
| ფიზკ. ინსტ. | 8 | 3 | 2 | 3 | 8-7 | 8 |
| „სქური“ | 10 | 3 | 2 | 5 | 9-18 | 8 |
| „იმედი“ | 8 | 2 | 4 | 2 | 6-6 | 8 |
| „ქართლი“ | 8 | 2 | 3 | 3 | 3-3 | 7 |
| „დურუჯი“ | 8 | 2 | 3 | 3 | 8-11 | 7 |
| „იმერეთი“ | 10 | 2 | 2 | 6 | 7-13 | 6 |

### II ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა.** „განთიადი“ (კასპი) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „თრიალეთი“ (წალკა) 3:1, „სამგორი“ (გარდაბანი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 1:0, „მუხრანი“ (მუხრანი) — „ალგეთი“ (მარნეული) 1:2.

**დასავლეთი ზონა.** „ალიონი“ (გალი)— „ნარინჯი“ (ქობულეთი) 3:1, „დინამო“-2 (ბათუმი) — „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) 3:3, „ნავერწკალი“ (ოქუმი) — „ზანა“ (აბაშა) 0:2.

## II ლიგა

9 სექტემბერს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 22-ე ტურის მატჩები: „დინამო“ (სოხუმი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 4:0, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 0:3, „ოლიმპია“ (აშტარაკი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) 0:1, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 4:0, „გიანჯლიკი“ (ბაქო) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 2:1, „დილა“ (გორი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:0, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:2.

### II ლიგა, IX ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქიაფაზი“ | 22 | 15 | 3 | 4 | 46-19 | 33 |
| „დინამო“ ს. | 22 | 14 | 1 | 7 | 41-24 | 29 |
| „ლოკ“. ს. | 22 | 12 | 3 | 7 | 32-25 | 27 |
| „დილა“ | 22 | 11 | 4 | 7 | 33-24 | 26 |
| „გიანჯლ.“ | 22 | 10 | 5 | 7 | 36-18 | 25 |
| „კოლხეთი“ | 22 | 11 | 2 | 9 | 38-38 | 24 |
| „ავტომობ.“ | 22 | 10 | 2 | 10 | 42-31 | 22 |
| „ყარაბახი“ | 22 | 10 | 2 | 10 | 38-33 | 22 |
| „მეტალურ.“ | 22 | 10 | 2 | 10 | 37-37 | 22 |
| „მეშახტე“ | 22 | 9 | 4 | 9 | 27-27 | 22 |
| „სპარტაკი“ | 22 | 9 | 4 | 9 | 22-29 | 22 |
| „ლოკომ.“ თბ. | 22 | 9 | 3 | 10 | 19-28 | 21 |
| „არაზი“ | 22 | 7 | 5 | 10 | 18-33 | 19 |
| „კოლხოზჩი“ | 22 | 7 | 2 | 13 | 22-35 | 16 |
| „შირაკი“ | 22 | 7 | 1 | 14 | 16-31 | 15 |
| „ოლიმპია“ | 22 | 2 | 3 | 17 | 17-52 | 7 |

## ალემაოს აზრით

ამას წინათ ევროპაში ტურნე გამართა რიო-დე-ჟანეიროს საფეხბურთო კლუბმა „ბოტაფოგომ“, რომლის შემადგენლობაში თამაშობს ბრაზილიის ნაკრების ცნობილი ნახევარმცველი ალემაო. ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რატომ აქვს ასეთი საფეხბურთო ფსევდონიმი („ალემაო“ გერმანელს ნიშნავს).

— ასე მამაჩემმა დამარქვა, როცა პატარაობისას ბრაზილიელს არ ვგავდი. ქერა თმები მქონდა. აქედან წარმოიშვა „ალემაო“.

ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ბრაზილიის ნაკრების სხვა ფეხბურთელთა მსგავსად მასაც იტალიაში გადასვლა სურს. ეს იმით აიხსნება, რომ სამხრეთამერიკული კლუბები ახლა დიდ ფინანსურ კრიზისს განიცდიან, „ბოტაფოგოს“ იმის თანხაც კი არ აღმოაჩნდა, რომ კონტრაქტი გაეფორმებინა ჯოსიმართან, მცველთან, რომელმაც მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატში თავისი ოსტატობით ყველა გააკვირვა.

ალემაომ დასძინა, რომ იტალიისკენ ბრაზილიელ ფეხბურთელთა ლტოლვა მარტო ფინანსური მოსაზრებებით როდი აიხსნება. საქმე ის არის, რომ აქაური ლიგა ამჟამად მსოფლიოში უძლიერესია.

— მე მხოლოდ მარადონა როდი მყავს მხედველობაში. საუკეთესოდ თამაშობენ ალტობელი და კონტი, ამას წინათ პასადენაში ამერიკისა და „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრები გუნდების მატჩში ძალიან მომეწონა პაოლო როსი. ბრწყინვალე თავდამსხმელია, თვალი არ უნდა მოაცილო, თორემ დიდ ხიფათს შეგამთხვევს.

VIII

## თვის მონაგარი

# ესტაფეტა სასპარტაკიადო სექტემბერმა მიიღო

(დასასრული)

ლიერესთა სამეულში დამკვიდრდნენ. რა თქმა უნდა სერიოზული წარმატებაა. ერთიც არის: საქართველოს ნაკრების ლიდერის ლეილა მესხის ტრავმა რომ არა, შედეგი გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გუნდის „ნადავლს“ პირადი შეჯიბრების ერთი-ორი მედალი მაინც მიემატებოდა. საქმე ის არის, რომ მესხს ერთდროულად სამ თანრიგში უნდა ჩაეტარებინა ნახევარფინალური მატჩები, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმა სერიოზული გამოდგა. აქვე არ შეიძლება არ ითქვას ლეილა მესხისა და ვლადიმერ გაბრიჩიძის სპორტული გმირობის შესახებ. დიახ, რაც ამ წყვილმა ლატვიელ ჩოგბურთელებთან შეხვედრაში გააკეთა, მართლაც სპორტული გმირობის ტოლფასი იყო. მესხი სწორედ ამ შეხვედრაში დაშავდა, მაგრამ მაინც დარჩა კორტზე, გაბრიჩიძის თავგანწირული თამაშის წყალობით კი ჩვენმა ჩოგბურთელებმა შეძლეს ამ დრამატული მატჩის მოგება.

ახლა ორიოდე სიტყვა მხატვრულ ტანვარჯიშზე. ვერ ვიტყვით, რომ სპორტის ამ სახეობაში საქართველოს წარმომადგენლები მაღალ შედეგებს გეგმავდნენ. სამწუხაროდ, ჩვენს გუნდში ამჟამად არ არიან ისეთი ტანმოვარჯიშეები, უძლიერესებთან თანაბარი ბრძოლის უნარი რომ შესწევდეთ. მართლაც, აბსოლუტურ პირველობაში და ცალკეულ საგნებით ვარჯიშში პრიზიორთა შორის ჩვენი რესპუბლიკის ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ მოხვდა. არც ჯგუფურ ვარჯიშში წარმატება ყოფილა ნავარაუდევი, მაგრამ ჩვენმა გოგონებმა ამ სახეობაში კარგი ოსტატობა გამოავლინეს და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

...თბილისში, ძველი რიყის ტერიტორიაზე სპარტაკიადისა და საკავშირო ჩემპიონატის მედლებისთვის იბრძოდნენ ავტოსამოდელო სპორტის წარმომადგენლები. ოთხდღიანი საინტერესო ასპარეზობის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავა. შეჯიბრების პირველივე დღეს რადიოსამართავი ავტომობილების ორ კლასში ოქროს მედლებს დაეუფლნენ ჩვენი გუნდის წევრები ოლეგ სტარინინი და ანდრო გალუსტიანი. ამას გარდა მასპინძლებმა კიდევ ერთი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ევროპის პირველობები. ლეილა მესხმა, გეხსომებათ, სპარტაკიადამდე ლისაბონში ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში მიიღო მონაწილეობა და თბილისში ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაბრუნდა. მან ერთეულთა თანრიგში ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო და მხოლოდ ფინალური ბრძოლა დათმო ჩეხოსლოვაკიელ ზრუბაკოვასთან, შემდეგ კი მოსკოველ ევგენია მანიუკოვასთან ერთად გაიმარჯვა წყვილთა ტურნირში.

აგვისტოში ევროპის ახალგაზრდულ პირველობებში გამოდიოდნენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ფალავნები — თენგიზ თედორაძე (კლასიკური ჭიდაობა), ეგია მუსოიანი, ზაზა ტყეშელაშვილი და ლევან ებანოიძე (თავისუფალი ჭიდაობა). ოთხივემ ღირსეულად იასპარეზა და ჩემპიონობა მოიპოვა. ასეთი შეჯიბრებებისთვის, ცხადია, გულმოდგინედ არჩევენ ახალგაზრდა, პერსპექტიულ სპორტსმენებს. ჩვენმა მოჭიდავეებმა ევროპული პირველობის საგზური „შინაურ“ შეჯიბრებებში სტაბილური გამოსვლის შემდეგ მოიპოვეს და სასიხარულოა, რომ წარმატებით დაიცვეს საკავშირო ნაკრების ღირსება.

ჩვენ ძირითადად აგვისტოს მთავარ შეჯიბრებებზე გავამახვილეთ ყურადღება. არანაკლებ საინტერესო იქნება სპორტული სექტემბერი. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ტაშკენტსა და ტალინში სპარტაკიადის მედლებისთვის იბრძოლებენ სპორტის 26 სახეობის წარმომადგენლები და ამით დიდი სპორტული ფორუმიც დასრულდება. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ქულებისა და მედლების რაოდენობით საქართველოს სპორტული დელეგაცია ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა.



# გამარჯვებულები სოფიაში მიემგზავრებიან

როგორც ვიუწყებოდით, ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის მაია ჩიბურდანიძე — ელენა ახმილოვსკაიას მატჩთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომმა გამოაცხადა საჭადრაკო ბლიც-კონკურსი. კონკურსის პირობების თანახმად, გამარჯვებულს გადაეცემოდა უფასო საგზური ბულგარეთში ზემოაღნიშნულ მატჩზე გასამგზავრებლად, II-IV ადგილებზე გასულებს კი უფლება ეძლეოდათ საგზურები ნაღდ ანგარიშზე შეეძინათ. ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ კონკურსის შედეგები (იხ. „ლელო“ 4 სექტემბერი, 1986 წ.) და მკითხველს გავაცანით იმათი ვინაობაც, ვინც მატჩზე გამგზავრების უფლება დაიმსახურა.

სურათზე: (მარცხნივ) ხედავთ კონკურსში გამარჯვებულ (I ადგილი) ჯემალ მახათაძეს, რომელსაც პრიზს (საგზურს) გადასცემს საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ვალერი ლომაძე.

ექსპრეს-ინტერვიუ გამარჯვებულთან.

**⊙ ჩვენ უკვე ვწერდით, რომ თქვენ ზესტაფონის საშაშო-საჭადრაკო კლუბის დირექტორად მუშაობთ, ხართ საჭადრაკო კომპოზიტორი, რომელი დარგის სპეციალისტი ბრძანდებით?**

— პროფესიით კვების მრეწველობის ინჟინერი ვარ.

**⊙ ადრე თუ მიგიღიათ მონაწილეობა კონკურსებში?**

— საჭადრაკო კონკურსი ჩემი გატაცებაა. მონაწილეობა მიმიღია უცხოეთის კონკურსებშიც და გამარჯვებაც ბევრჯერ მომიპოვებია.

**⊙ როგორც ვწერდით, თქვენს გარდა კონკურსში ყველა მონაწილემ შეცდომით გასცა პასუხი მე-5 კითხვაზე—ვერ ამოიცნო, ვინ იყო ფოტოზე აღბეჭდილი.**

— რომ იცოდეთ, მეც როგორ გამიჭირდა... კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ უნდა დამეზუსტებინა — ჯერ ერთი სურათზე ქალი იყო გამოსახული თუ მამაკაცი, და მეორე — საბჭოთა მოჭადრაკე იყო თუ უცხოელი.

არ გაგიკვირდეთ, მაგრამ საკუთარ თავს არ ვენდე და ფოტოგრაფებს მივაკითხე. ზესტაფონის, თერჯოლის, ქუთაისის და წყალტუბოს ყველა ფოტოატელიე მოვიარე. უმეტესობის დასკვნა ასეთი იყო — ფოტოზე აღბეჭდილია ვაჟი და არა ქალი. იმავე ქალაქებში და რაიონებში გადავათვალიერე ჭადრაკის ყველა მოყვარულის ფოტოკოლექცია, მაგრამ ამაოდ.

ერთ დილას აზრად მომივიდა, რომ რაკი მატჩი ბულგარეთში ტარდება, ფოტოზე შეიძლებოდა ბულგარელი მოჭადრაკე ყოფილიყო აღბეჭდილი. მაშინვე ჩავჯექი მანქანაში და თბილისში ჩამოვედი — ხუთ საათს ვიჯექი საჯარო ბიბლიოთეკაში, გამოვიწერე ათობით წიგნი და... ბევრი ძებნა არ დამჭირვებია — ერთ-ერთი წიგნის გარეკანზე არ ვხედავ იმ ფოტოს?

**⊙ რას განიცდით ბულგარეთში გამგზავრების წინ?**

— ჯილდო ყოველთვის ახარებს ადამიანს, მით უმეტეს — ასეთი. კონკურსში გამარჯვებულები საქართველოს იმ ტურისტულ ჯგუფს შევუერთდებით, რომელიც 11 სექტემბერს მიემგზავრება სოფიაში ჩიბურდანიძე-ახმილოვსკაიას მატჩზე დასასწრებად.

# თენგიზ თედორაძის ახალი წარმატება

19 წლის თბილისელი კლასიკური სტილის მოჭიდავე თენგიზ თედორაძე წარმატებით ასპარეზობს წლევანდელ სეზონში. მარტში მან პოდუბნის დიდი საერთაშორისო ტურნირი მოიგო, აგვისტოში კი ევროპის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის. გუშინ კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მივიღეთ: თედორაძემ ბუქარესტის საერთაშორისო ტურნირზე ოთხი მეტოქე დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 11 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **19.30 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (კიევი) — **21.00 (2)**; საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში: „გრან პრის“ ფინალი (იტალიიდან) — **23.35 (1).**

**12 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — **20.00 (1)** და **0.10 (1)**; საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში: „სოფიის თასი“ — **21.35 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში ქალთა შორის: ფინალური ტურნირი — **0.20 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 11 სექტემბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) — **20.00**, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) **22.40;** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: მ. ჩიბურდანიძე — ე. ახმილოვსკაიას მატჩი — **23.30.**

**12 სექტემბერი.** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — **20.00** და **0.10.**

**საქართველოს რადიო. 11 სექტემბერი.** რიტმული ვარჯიში — **11.40;** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) — **21.00;** „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) **22.00.**

**11-13 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. მონაწილეობენ: მოსკოვის, ფრუნზეს, ჩელიაბინსკისა და თბილისის კოლექტივები.**

დასაწყისი 18.30 სთ.

**სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ბავშვთა და მოზარდთა ფარიკაობის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლა აცხადებს 1975-77 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას.**

მიღება 20 სექტემბრამდე, ყოველდღე, 15-დან 19 საათამდე. მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 6, „ბურევესტნიკის“ სპორტული კომპლექსი. ფარიკაობის სპორტული სკოლა.

ბავშვებმა თან უნდა იქონიონ სპორტული ფორმა.



## ბეისბოლის მოყვარულთა საყურადღებოდ!

თურმე ნუ იტყვით, თბილისში ბეისბოლის მოყვარული ბლომად ყოფილა.. არადა, სპორტის ეს სახეობა ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურად ინერგება. ბეისბოლის ყველა მოყვარულის ერთად თავშეყრის და შემდგომი ღონისძიებების დასახვის მიზნით კვირას, 14 სექტემბერს 13 საათზე საქართველოს ალპურ კლუბში (კიროვის სახელობის პარკი) სპეციალური კრება ჩატარდება. მსურველებს ვთხოვთ აღნიშნულ დროს მობრძანდნენ ალპურ კლუბში.

## თემო გუგუნავა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძნელად ვევგულება ფეხბურთის ძველ მოყვარულთაგან ვინმე, რომ არ ახსოვდეს 50-იანი წლების თბილისის „სპარტაკი“, არ ახსოვდეს ეს შესანიშნავი, ახალგაზრდული, მეგობრული კოლექტივი. ძნელად გვეგულება მათგან ისეთი, ვისაც არ ახსოვდეს ამ გუნდის ერთ-ერთი ძირითადი, წამყვანი ფეხბურთელი თემო გუგუნავა. ახოვანი, ტექნიკური, ენერგიული, მუდამ საბრძოლველად და საიერიშოდ შემართული ნახევარმცველი სპარტაკელთა კოლექტივის სული და გული, უტყუარი, ალალი მეგობარი იყო.

საინტერესო ცხოვრება განვლო თეიმურაზ ნიკოლოზის ძე გუგუნავამ. 1925 წელს დაიბადა თბილისში, ფეხბურთს ეზიარა სკოლის წლებშივე, ომის წინა პერიოდში თამაშობდა თბილისის საფეხბურთო სპორტსკოლაში, შემდეგ — ქალაქის ახალგაზრდულ და მოზრდილთა გუნდებში მერე კი იგი თბილისის „სპარტაკში“ მიიწვიეს, რომელმაც 1949 წელს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. თემო გუგუნავას სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა, თბილისის „სპარტაკმა“ 1950 წლის საკავშირო ჩემპიონატში მე-9 ადგილი დაიკავა. გუნდის წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა თემო გუგუნავასაც.

თ. გუგუნავა იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა თემო გუგუნავა — ჩინებული სპორტსმენი, საუკეთესო მკურნალი, კეთილი მეგობარი და მეოჯახე. მისი სახელი დაუვიწყარია მათთვის, ვინც კი ოდესმე ილვწოდა და თამაშობდა მის გვერდით.

**თბილისის „სპარტაკის“ ვეტერანი ფეხბურთელები.**

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე**

**თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საციგურაო სპორტსკოლის დირექცია**

**აცხადებს**

**1981 წელს დაბადებულ ბავშვთა მიღებას მოსამზადებელ ჯგუფებში.**

განცხადებები მიიღება 11-დან 30 სექტემბრამდე, ყოველდღე დილის 10-დან 18 საათამდე.

მშობლებმა უნდა წარმოადგინონ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, 2 ფოტოსურათი (3X4), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

სკოლის მისამართი: თბილისი — 15, ლენინის ქ. № 75-ა (სპორტის სასახლის გვერდით).

ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით: 38-65-00, 38-94-75.

საქართველოს სპორტსახკომი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრა, ვეტერანი კალათბურთელები და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეს გურამ მინაშვილს მამის

**ვალერიან გერმანის ძე მინაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612